თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 2

ქ. თელავი 21.05.2021 წელი

თავმჯდომარეობდა: **დავით გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ლევან მრელაშვილი; ალექსანდრე შათირიშვილი; ნანა ხვისტანი; აბრამ მახარიაშვილი; ზურაბ ლილუაშვილი; გიგა მამუკელაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატი: **გიორგი ჩაბრაშვილი. ლევან კოჭლოშვილი.**; საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვის შესახებ.

   მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ ცვლილებასთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - **ნ ვაყელიშვილს.**

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის მოტივი მდგომარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად თანხების მობილიზებას, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 07 აპრილის N538 განკარგულებით - „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთვარობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გამოყოფილი თანხის (დაზუსტებული) ბიუჯეტში ასახვაში.

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვროს 35377,86 ათ. ლარის ოდენობით. აქედან გამომდინარე მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. მათ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ ცვლილებას.

<u>გადაწყვიტეს:</u> ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

<u>მოისმინეს:</u> 2. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა მოკლედ მიმოიხილა წარმოდგენილი ბიუჯეტის 3 თვის შედეგები. კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - **ნ. ვაყელიშვილს.**

მან აღნიშნა რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი 3 თვის განმავლობაში განისაზღვრა 35627,15 ათ. ლარის ოდენობით.

აქედან, შემოსავლების გეგმა 3 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 3864,37 ათ. ლარით. ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 4110,71 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 106,37% -ით. გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 3379.2 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 100,37% -ით. დამატებითი ღირებულების გადასახადი შესრულდა 100,58%-ით; ქონების გადასახადი შესრულდა 95,23%-ით. გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 122,73%-ით. დაგეგმილი იყო 70,0 ათ. ლარი ფაქტმა შეადგინა 85,91 ათ. ლარი.

მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა, და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 56,06 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო 42,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა გადაჭარბებით 133,49%-ით.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - დაგეგმილი იყო 59,6 ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 54,32 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 91,14%-ით.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 169,08% -ით.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 5,74 ათ ლარი. დაგეგმილი იყო 6,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 95,59% -ით.

არაფინანსური აქტივების კლებიდან გეგმა შესრულდა 121,83 % -ით.

სულ შემოსულობების გეგმა სამი თვის განმავლობაში შესრულდა 106,57% -ით. 2020 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო 3914,37 ათ. ლარი. მიღებულმა საკასო შემოსავლებმა კი შეადგინა 4171,62 ათ. ლარი.

რაც შეეხება გადასახდელებს 3 თვის განმავლობაში შესრულდა 85,49%-ით. დაგეგმილი იყო - 7286,10 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 6728,96 ათ. ლარი.

თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 3 თვის განმავლობაში ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გახარჯვა არ განხორციელებულა.

2021 წლის 01 იანვრისთვის - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან და სხვა ტრანსფერებიდან ნაშთი - 3553,01 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან - აღებული და ასანაზღაურებელი ვალდებულებები 3286,8 ათ. ლარი, ჭარბი შემოსავლებიდან - 445,23 ათ. ლარი, თავისუფალი ნაშთი გადასახდელებიდან - 2796,82 ათ. ლარი. ხოლო 2021 წლის 01 აპრილისთვის 2540,0 ათ. ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან ნაშთი და სხვა ტრანსფერიდან ნაშთი, 5484,45 ათ, ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაშთი. ნაშთის ცვლილებამ პერიოდის განმავლობაში შეადგინა (-2057,33) ათ. ლარი.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (თან ერთვის) და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დ. გოგოშვილი

შ ე ფ ა ს ე ბ ა

თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვის შესახებ

2021 წლის 21 მაისს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ, განხილულ იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვა“

წარმოდგენილი მიმოხილვის მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტის კვარტალური (3 თვის) გეგმა შემოსულობების ნაწილში შესრულდა 106,57%-ით, (დაგეგმილი იყო - 3914,37 ათ ლარი და მიღებულმა საკასო შემოსავლებმა შეადგინა - 4171,62 ათ ლარი) ხოლო გადასახდელების ნაწილში გეგმა შესრულდა 85,49%-ით. (დაგეგმილი იყო - 7286,10 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 6228,96 ათ. ლარი)

აქედან გამომდინარე, „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვა“ კომისიამ შეაფასა დამაკმაყოფილებლად.